

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ. ვანი თავისუფლების N 65

28 სექტემბერი 2018 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: შალვა ლორთქიფანიძე, ივანე კორძაძე, ტარიელ ბარამიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: კობა ტოხვაძე, თენგიზ დვალიშვილი, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები: ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტი“ დირექტორი - ვალერი როხვაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ალექსანდრე ოქროპილაშვილი (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტი“-ს ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მომხს./ვალერი როხვაძე/

გადაწვევით: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტი“-ს ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სარაგბო კლუბ „აიეტი“-ს 2017 -2018 წლებში გაწეული მუშაობის შედეგებია, კერძოდ:

ვანის სარაგბო კლუბი „აიეტი“ მონაწილეობას ღებულობდა 2017-2018 წლებში დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ მე-2 ლიგაში. ასევე მონაწილეობას ღებულობდა დასავლეთ საქართველოს რვა გუნდი, სადაც ვანის მორაგბეთა გუნდში დავიკავეთ გუნდური მეხუთე ადგილი.

ორი მორაგბე აყვანილი იქნა 2017-2018 წელს დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ მე-2 ლიგაში. დაგეგმილი გვაქვს დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ მე-2 ლიგაში სამეულში მოხვედრა.

ვანის სარაგბო კლუბ „აიეტს“ 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქონდა ხარჯებში 70000 ლარი. მათ შორის:

ადმინისტრაციის ხარჯები 8 სამტატო ერთეულზე დახარჯულია ხელფასების სახით 15500 ლარი. შტატგარეშე მორაგბეების ხელფასი 23 მორაგბეზე დახარჯულია 26600 ლარი, სხვა დანარჩენი მთლიანი ხარჯი შეადგენს 27 900 ლარი.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ა(ა) იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების სამსახურის 2018-2019 წლის სამუშაო გეგმა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

/ დანართი N2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე